კვირა, 20 აპრილი 1930 წ. № 15 ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი



მუშათა კლასის აღდგომა კაპიტალისტურ ქვეყნებში

## ახლო მომავალში

„აღსდეგ მშიერნო, დაჩაგრულნო,
მონებო მთელი ქვეყნისა!“

12 556
Библиотека-Музей
Академия наук

# ტყუილს მოკლე ფეხები აბია

რავარც ბაბუაჩემი, მედავითნე საბია ესესძე არ ამდგარა მკვდრეთით, ისე იესო იოსებისძე, თუ გაბრიელისძე ქრისტე არ ამდგარა და არც ადგება. თვარა რომ ადგებოდეს რამდენიმე წუთით მაინც, მოგეცათ ლხენა, ისეთ შეკითხვებს დაუსვამდი წინ, მისი მცნებების წინააღმდეგობათა შესახებ, რომ სირცხვილით, — თუ კი მას ერთი ნატამალი სინდისი და ნამუსი შერჩენია, — ხელახლა გაუსკდებოდა მიწა და ჩაინთქოდა შიგ!...

კარგი ბიჭი იქნებოდა და აბა იმართლებდა თავს ისეთი ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრების გამოთქმისთვის, როგორიც ტროცკისაც კი არ დამართია მისი რევოლიუციონური და შემდეგ კონტრ - რევოლიუციონური ლიტერატურული შემოქმედების დროს!...

მაგალითისთვის გადავფურცლოთ ოთხთა მოციქულთა სახარებანი, რომლებშიაც არიან აღბეჭდილი იესო ქრისტეს ყველა მცნებანი.

ავიღოთ, თუნდა, აი ასეთი: **„ნეტარ იყუნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ“.** (სახარება მათესი, თავი 5, 9).

პირველი საფეხურის პოლიტ-კურსების მოწაფეც ცხადათ დაინახავს ამაში ქრისტეს ანტიმილიტარისტულ მისწრაფებას.

მაგრამ იგივე მოწაფე სახტათ დარჩება, თუ ცოტა ქვემოთ ჩაყვება იმავე მოციქულის სახარებას, სადაც შეხვდება სულ საწინააღმდეგო, ნამდვილი მილიტარისტული აზრი იმავე ქრისტესი:

**„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა. არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“.** (სახ. მათესი, თ. 10, 34).

არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს სამხედრო მინისტრს არ გამოუთქვამს საქვეყნოთ, აშკარათ ასეთი მილიტარისტული შეხედულება. თუმცა გულში ყველა მათგანი ამნაირადვე ფიქრობენ, მარა ეს, რომ ქრისტესავით აშკარათ გამოთქვან, — ოცდა ოთხ საათში დაჰკარგავენ სამხედრო მინისტრის პორთფელს და თანამდებობას!...

**„ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო“**, — ამბობს ხალხური ანდაზა. გავყვეთ ჩვენ ქრისტეს, მისი მოციქულების და მორწმუნეების ტყუილებს, თუნდა, კარებამდი! შორს წასვლა არ დაგვჭირდება, რადგან მოკლე ფეხების გამო, ის ვერსად გაგვექცევა!

ავიღოთ, თუნდა, ასეთი, ნაწილობრივათ ბალშევიკური, მცნება:

**„ვერვის ხელმწიფებს ორთა უფალთა მონებად. ანუ ერთი იგი მოიძულოს, და სხვა იგი შეიყვაროს. ანუ ერთისა მის თავს იდუას და ერთი იგი შეურაცხ-ჰყოს“.** (სახ. მათესი, თ. 6, 24).

და შემდეგ კი ნამდვილი მენშევიკური ორ სკამ შუა ჯდომა:

**„მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“.** (სახ. მათესი, თ. 22, 21).

ალბათ ამიტომ მოხდა, რომ გერმანელმა მენშევიკებმა ყველაფერი უცვლელივ დაუბრუნეს ყოფილ იმპერატორ ვილჰელმს, გარდა ტახტისა (ეს და აკლდათ, რალა!), და რომის პაპსაც გულმოდგინეთ ეხმარებიან საბჭოთა ქვეყნის და ბალშევიკების წინააღმდეგ!...

ანუ აი, ასეთი მლიქვნელობა:

**„მე გეტყვი თქვენ: იხსენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუისა, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ“.** (სახ. ლუკასი, თ. 16, 9).

ამ მცნების შედეგია, ალბათ, რომ მენშევიკებს სურთ შეიძინონ მეგობრები ყველა კლასების წრეებში, რათა გაჭირვების დროს რომელიმე მათგანს შეაფარონ თავი!...

ავიღოთ კიდევ ქრისტეს ასეთი დარიგება:

**„გიყუარდეთ მტერნი თქუენი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა, და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთვის“.** (სახ. ლუკასი. თავი 6, 28).

თავისთვის კი აი რას ამბობს: **„რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეც აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა. და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უარვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“.** (სახ. მათესი, თავი 10, 33).

არა და აი, კიდევ ასეთი რჩევა-დარიგება სხვებისთვის:

**„მე გეტყვი თქვენ: არა წინა აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან ჰგცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა“.** (სახ. მათესი, თავი 5, 39).

თითონ კი ასე სასტიკათ ექადის ყველას:

**„რამეთუ მოავლინეს ძემან კაცისამან ანგელოსნი თვისნი და შეჰკრიბნენ სუფევისაგან მისისა. ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი და შესთხიენ იგინი სახმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“.** (სახ. მათესი, თავი 13, 41).

ქრისტეს მოციქულები და მიმდევრები არც ისე სულელები და გულუბრყვილონი იყვნენ, რომ დაეჯერებიათ მისი პირველი რჩევისთვის და ლაწან გადებულ ერთ ყბასთან — მეორეც მიეშვირათ გამრტყმელისათვის.

სამაგიეროთ მეორე მის დარიგებას, თუმცა ეს სრულებით არ ეხებათ მათ, მაინც ერთსულოვნათ იზიარებენ ყველა ქრისტეს მიმდევრები და მორწმუნენი. ამიტომაც ნანადირევ ირვივით იყვნენ შეხრაკული ცეცხლზე პაპისა და მისი ინკვიზატორების მიერ გამოჩენილი მეცნიერები: ჯორდანო ბრუნო, ივანე ჰუსი და სხვები, რომლებიც არ იზიარებდენ მათ თვალთმაქცობას.

ბევრ ბოდვათა შორის არის ქრისტეს მცნებებში გატარებული აგრეთვე ფხიზელი აზრიც! აი, თუნდა, ასეთი:

**„ყოველმან ხემან, რომელმან არა ჰყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედუას“.** (სახ. მათესი, თავი 7, 19).

კარგს იქმოდენ ქრისტეს მორწმუნენი გლეხკაცობიდან, რომ ამ ძვირფას აზრს განახორციელებდენ ცხოვრებაში სავსებით, — არც ერთი უსარგებლო ხე არ დარჩებოდეს მოუჭრელი და მის მაგიერ ძვირფასი ხილეულობა დარგული, — ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა!

და თუ კიდევ უფრო გააღრმავებდენ ამ აზრს და გადაიტანდენ ზოგ ორფეხა ადამიანის მსგავს ცხოველებზე, — ეს ხომ კიდევ უკეთესი იქნებოდა!

ბევრ მუქთახორებს, ხუცებს, ბერ-მოლაზვნებს, ჩარჩ-ვაჭრებს, ყოყოჩა თავად-აზნაურებს, რომლებიც კიდევ საკმაოთ ჭაჭანობენ ამ ქვეყანათ, — ჩქარა მოეღებოდათ ბოლო.

ქრისტესაც მათი ბედი არ ასცდებოდა, — ცხადზე უცხადესია!...

ხ. თ—ია.



# „მფრინავი აგიტპროპი“



— ამხანაგო ყუმბარა, წამოდი, რედაქციისათვის ბინა მოვძებნოთ. ხომ იცი რა მდგომარეობაში ვართ.

მე სიხარულისაგან ლიკვა დავიწყე.

— ამხანაგებო! მივმართე თანამშრომლებს, ტარტაროზს გადაუწყვეტია რედაქციისათვის ახალი ბინის შოვა.

თანამშრომლებმა ტაში შემოკრეს.

მე და ტარტაროზი რუსთაველის პროსპექტზე გამოვედით. ამ დროს ს. თ—აა ლავინახეთ, ჩვენსკენ მოდიოდა.

— საით? გვკითხა მან.

მე მინდოდა მეპასუხა მისთვის, მაგრამ ტარტაროზმა დამასწრო.

— ეკლესიებში უნდა შევიხედოთ, ვნახოთ რა ამბებია, შენც უნდა წამოხვიდე. უთხრა მან და ს. თ—იას კლავში ხელი ჩასჭიდა.

— როგორ? აკი ჩვენ... წამოვიძახე, მაგრამ ისევ გავჩუმდი. ვამჯობინე „ჩათრევას ჩაყოლა“.

ეკლესიაში რომ შევედით მორწმუნენი „თავისიანებათ“ გვღებულობდენ.

— გესმით? მოგვმართა ტარტაროზმა, როცა ეკლესიაში შევედით.

— მესმის, მღვდელი მამაოჩვენოს კითხულობს — ვსთქვი მე.

— მაშ, შენ სმენა დაგკარგვია! — მითხრა ტარტაროზმა.

მე და სილვამ ყურები დავცქვიტეთ.

ტარტაროზი სავსეა ენტუზიაზმით. მისი აღტაცება უსაზღვროა: სახე უბრწყინავს და თვალებიდან ნაკვერჩხლებს აფრქვევს, როცა ანტირელიგიური კამპანია იწყება.

უნდა ითქვას, რომ ტარტაროზი ზოგჯერ თავს ვერ იჭერს და ანტირელიგიურ „გამოსვლებში“ აჭარბებს კიდეც.

ყოფილა შემთხვევა, როცა მან რომის პაპას და მის დამქაშებს „ცხვირიდან სისხლი ადინა“.

რელიგიის წინააღმდეგ ასეთი საშუალებით ბრძოლა ჩვენს ხაზს ეწინააღმდეგება. რამდენჯერ გვირჩევია მისთვის, გვითხოვია კიდეც, რომ გრძნობას არ აყოლოდა და ბრძოლა სტრატეგიულად გვეწარმოებია, მაგრამ ის ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენ რჩევას ვერ ასრულებდა, მიუხედავათ იმისა, რომ ისიც პრინციპიალურათ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში კულტურული საშუალების მომხრეა.

— აბა, ბიჭებო, ჩვენებურად დავსცხოთ რელიგიას. ხომ იცით, მანამ არ მოვისვენებ, სანამ რელიგია დედამიწის ზურგიდან არ ამოიფხვრება! გაისმა მისი ხმა რედაქციაში შემოსვლისთანავე.

ჩვენ ვერ გავიგეთ, თუ რას გულისხმობდა ტარტაროზი „ჩვენებურათ დაცხებაში“.

თუ იმას, რომ ჟურნალის ეს ნომერი შეხივით უნდა გავარდნილიყო და მორწმუნეთათვის თავზარდამცემი ყოფილიყო, — მაშინ, ჰო, ჩვენ შეგვეძლო დამშვიდებით გაგვეგრძელებინა სარედაქციო მუშაობა, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ჟურნალის ეს ნომერი ტარტაროზის მიერ მოწონებული იქნებოდა, მაგრამ თუ ის გულისხმობდა რელიგიის წინააღმდეგ ისეთი საშუალებების მიმართვას, როგორც იყო სამრეკლოებიდან ზარების ჩამოხსნა, და სხვა (ერთ ღამეს მან ორმოცდაათი ეკლესიას ჩამოხსნა ზარები და თავის ზურგით მოიტანა ქარხანაში გადასადნობლათ). მაშინ ჩვენ ასეთ „დაცხებას“ ხაზის გამრუდებათ მივიჩნევდით და შეიძლება ტარტაროზის მოქმედება ჩვენს „საწარმოო თათბირზე“ დაგვესვა.

ტარტაროზი ალბათ მიგვიხვდა ამას და ყურში ჩამჩურჩულა:

მღვდელი „ღაღადებდა“:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,

ისმინე ვედრება ჩვენი და დაამხე წყობილება საბჭოსი!

ტარტაროზს ბრაზი მოდიოდა, მაგრამ თავს იჭერდა.

— ეხლა ხომ გესმით?

— გვესმის! უპასუხეთ ჩვენ.

— იცით, რა ვქნათ,—სთქვა მან,—საჭიროა მლოცველთ აუხსნათ, დავარწმუნოთ იმაში, რომ მღვდლები ატყუილებენ მათ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მლოცველებთ შორის აგიტაციას ვეწეოდით.

— გვატყუილებენ. ძირს მღვდლები! გაისმა მლოცველთა შორის და ეკლესია დაცარიელდა.

ჩვენ შემოვიარეთ ტფილისის ყველა ეკლესიები. ყველგან ერთი და იგივე გვესმოდა: წყევა საბჭოთა წყობილების.

ჩვენ წარმოვადგენდით მფრინავ აგიტპროპს. ეკლესიები მლოცველებისაგან ცარიელდებოდა.

ყუმბარა.

## ანტისაბჭოთა კამპანიის შემდეგ



რომის პაპი (მსახურს): — უკანვე გაიტანეთ... ჭამის მადა არა მაქვს.

## მეგობრული შარჟი

სამი ამხანაგი ა. ლ. ქ. კ. უჯრედის დავალებით სოფ. მუხიანში გავემგზავრეთ ანტი-რელიგიური კამპანიის ჩასატარებლად.

სოფ. მუხიანში ეხლა ერთი ძირგამხმარი მუხაც კი არ დგას, რომ სახელწოდება გაამართლოს. ჩასვლისთანავე მოვიწვიეთ კრება.

—:—

მომხსენებელმა მოხსენება დაიწყო ამერიკის კაპიტალიზმიდან, გაკვრით შეეხო ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას, აღნიშნა საფრანგეთის რეაქციონური ზრახვანი, საფრანგეთს დაუმატა პოლონეთი და რუმინეთი, ვრცლად შეეხო რომის პაპის ანტი-საბჭოთა გამოსვლებს, ჯვაროსნული ომის ჩაფლავებას, ქრისტეს მოღვაწეობას, ქრისტეს აღდგომას, რელიგიურ დღესასწაულების მავნებლობას, სარწმუნოებას როგორც ბურჟუაზიის იარაღს და ბოლოს: 5 წლედის ოთხ წელში შესრულებისათვის საჭიროა რელიგიის შხამისგან განთავისუფლება!— გაათავა სიტყვა. შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა მოხუცმა:

— ამ ყმაწვილმა ძაან სიტყვები სთქვა, არ გეემტყუნება, ნასტავლი ყაცია,— მარა პეტერე მომისმინეთ.

ე ჩვენი ეკლესია რო უპატრონოთ ლპება და მისი მომრები არც ბერია და არც ერი, არ ვარგა ასე. არც იგი ვარგა, რომ ექიმბაშ ლიპიასთან დადიან საქჭიმოდ. ლიპიას მორჩენილი სულიერი მე არ მინახავს, რავარც მკვდრეთით ამდგარი ქრისტე არ უნახავს არავის. რა ასეთი ძნელია იმ ეკლესიის დანგრევა და აფთიაქათ გადაკეთება! ეს საქმე დასტურ უნდა მოვაჭახრაკოთ ყაიდაში. ეს მინდოდა რო დამემატებია იმ პატიოსანის სიტყვაზე. — დაუმატა მოხუცმა. კრებამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა იგი! **ბახჩო.**




**ღმერთები:** დემიან და „წმინდა“ სილვამ შეგვიბრუნა სახარება, არც ცაში და არც მიწაზე არ გვაღირსა გახარება.

## ვერ დაივიწყა

ქვრივი დედაბერი მატრონია მთელი კვირა დადიოდა ეკლესიაში. არც ერთი ლოცვა არ გამოუტოვებია. ემზადებოდა ზიარებისათვის, ანუ წმინდა საიდუმლოს მისაღებათ.

დადგა ზიარების დღეც.

მატრონა ხუცესთან შევიდა, მოძღვრის წინ წაიჩოქა და აღსარების სათქმელად მოემზადა.

— მითხარი რა ცოდვა გაქვს ჩადენილი? — შეეკითხა სულიერი მამა.

— ვერ ვიტყვი, მამაო!

— აღიარე შვილო!

— ვერ ვიტყვი...

— რატომ ვერ იტყვი?

— მიძნელდება მამაო!...

— ევედრე უფალს, — გაპატიებს. სთქვი, რა შესცოდე?

— წევიწყმინდე სული მამაო, ბერთან შევცდი თქვენს წმიდა საკურთხეველში, წავიკუპრე სული!.. დევილუპე...

— როგორ, რას ამბობ?! ბერი შეაცდინე?! — დააბრიალა თვალები ხუცესმა.

— შემაცდინა, დევილუპე.

— როდის? დღეს შესცოდე? მიამბე როგორ მოხდა!

— ვერ გიამბობ! აღარ მახსოვს! დღეს კი არა, მის მერე სამოც წელიწადზე მეტი გავიდა.

— სად იყავი მანამდი? რატომ არ მოინდომე ცოდვის მონანიება! ან რად არ ეზიარე ამდენ ხანს?!

— როგორ არ ვეზიარე! ბევრჯერ ვეზიარე!

— მერე რატომ არ გამოუტყდი მოძღვარს, რატომ არ აღიარე ცოდვები?

— ვაღიარე, როგორ არ ვაღიარე! ათასჯერ მოვინანიე!

— მაშ თუ მოინანიე, რაღად იხსენებ! — გაცხარდა ხუცესი.

— მახსენდება მამაო, მახსენდება.

— ვერ დავივიწყებ. გლახა საქმე მალე გავიწყდება: არ ღირს გახსენება; კარგს კი რა დაგავიწყებს?!.. მუდამ მახსოვს... ხუჭუჭა ბერი იყო... ახოვანი... მოალერსე... მხიარული.... პირდაპირ ქრისტეს თვალები ჰქონდა. ცხვირ-პირი, ყველაფერი — ისე ქონდა, როგორც მაცხოვარის. ახლაც რომ ვუყურებ მაცხოვრის ხატს, სულ ის ბერი მეჩვენება. სწორეთ ეგერ, იმ ადგილას იყო, მაცხოვრის ხატი რომ არის, — იქ შევცდი...

**ანტი.**

# ი ს ე ა დ გ ე ს!..

> და რქვა უფალმა მოციქულსა მას იონას: აღსდეგ და ხვიდოდე ნინევის და ქადაგჰყავ მუნ მცნებანი ჩემნი.
> წიგნი მეფეთა.

ერთს ვინმე წინასწარმეტყველს
იონა ერქვა სახელი,
(არვის ეგონოს პოეტი
ჩვენი იონა ვაკელი)
უყვარდა იგი საბაოს,
მას ენდობოდა გულითა,
იმასთან სჭამდა სეფისკვერს
და ღვინოს სვამდა კულითა.
ერთხელ უფალი იონას
დაუხვდა განახელები.
„მე თქვენ გიჩვენებთ! — იყვირა
და თან დაკუმშა ხელები;
ასურელთ ცოდვა გაეგო,
(უფალი „ყოვლის მცოდნეა“)
და ნინევიას საბაო
ემუქრებოდა ცოდვიანს.
შემდეგ მიმართა იონას:
„წადი, ვით მოციქულიო.
და ნინევიას, ქალაქსა,
ჰქადაგე ჩემი რჯულიო.
უთხარი, თუ არ მორჯულდენ,
საქმე წაუვათ ცუდათო!—
მივანგრ-მოვანგრევ ყველაფერს
და ვაქცევ ნაცარ-ტუტათო,
იონამ უთხრა: „მივდივარ
უფალო, ღმერთო დიდოო“
თან გულში ფიქრობს: გიჟი ვარ?
შარი რად ავიკიდოო?!—
ასურელების მხარეში
საკუთარი აქვთ რჯულიო,
მათ ჩვენი ღმერთი არა სწამთ
არც მისი მიციქულიო.
მე რომ სხვა რჯული ვქადაგო,
საქმეს დამმართვენ ავსაო,
ენას მომკვეთენ და ოთხათ
გამიტეხავენ თავსაო!—
და იქვე ჩაჯდა ხომალდში
ზღვის პირას, რომ მოსულიყო,
რომ განგებ უფლის თვალიდან
დროებით მიმალულიყო.
მაგრამ საბაომ ზეცაში
გაუგო განაფიქრები,
და დაემუქრა მაღლიდან:
— საბაოც აღარ ივქნები,
თუ არ გიჩვენო სეირი,
არ გიყო სამაგიერო,
სატანის გზაზე წასულო
„საბოტაჟნიკო“, ცბიერო! —

უცებ ზეცა მოიღრუბლა,
ამოვარდა ზღვაზე ქარი,
ზღვა აღელდა, დაეჯახა
ხომალდს ტალღა ბობოქარი.
შეეშინდათ მეზღვაურებს,
წამოავლეს ნიჩბებს ხელი,
და მიმართეს ლოცვით გამჩენს. —
მაგრამ საქმეს არა შველის.
სთქვეს: —უფალი გამწყრალია,
ცოდვილია ვიღაც ჩვენში!
კენჭი ვყაროთ, მით გავიგებთ;
გადავაგდოთ ზღვის ტალღებში!—
იონამ რომ გაიგონა
მეზღვაურთა ღაღადისი,
გამოტყდა და თავის პირით
აღიარა ცოდვა მისი.
ეს უნდოდათ მეზღვაურთაც,—
დამნაშავე რა კი ნახეს,
ხელის სტაცეს იონას და
ზღვის უფსკრულში გადუძახეს.

ზღვის ტალღებში მოციქული
ვეშაპმა დაინახა,
ყბა ჩაავლო და მუცელში
გადაყლაპა— გადუძახა.
თუმცა ყელი ვეშაპისა
ვიწრო იყო და პატარა,
მაგრამ უფალს თუ კი „ნებავს“
საქმე „ბრუნავს“ როგორც ჯარა
და ვეშაპმა ღვთის ბრძანებით
გადაყლაპა რა იონა,
ორ დღეს მუცლით აჯირითა,
„მოარჯულა“ ურჩი მონა;
მესამე დღეს,— კი როდესაც
მოიჯერა ღმერთმა გული,
როცა მოლბა კვლავ საბაო
იონასგან განრისხული,
ვეშაპს გული აერია,
მიაშურა ნაპირს ხელათ,
და ნაპირზე მოციქული
გა[...]აგდო უვნებელად.

> ვეშაპის მიერ იონას გადაყლაპვა წინასწარმეტყველება არს ვნებისა და აღდგომისა ქრისტესი:
> განმარტება სახარებისა.

თვით აღდგომაც ქრისტესი ხომ
ასეთივე ზღაპარია:
ეს დომხალიც, ვით სხვა ბევრი,
ბიბლიიდან ნაპარია.

ვით იონას ვეშაპის
ფაშვში შეხვდა ორ დღეს მოცდა,
ისე ქრისტეც მესამე დღეს
საფლავიდან ამოცოცდა.
„ქრისტე აღსდგა?.. სიხარულით
„გაანათა“ ცათა ბჭენი?..
ისე ადგეს მუსოლინი,
ბრიანი და ჩემბერლენი.

მედუზა.



— ქრისტეჯან, შენც გამოყეყეჩდი ამ ეკლესიაში და— მეც... აღარავინ დადის... არავის ვახსოვართ!

# „ა ღ დ გ ო მ ა  შ ა მ ქ ო რ შ ი"

ჩვენი სოფლის მთლიან კოლ[illegible] ვიზაციაზე გადასვლამ მეტად დაიღონა დეკანოზი გაბრიელი.

— ამდენ ხანს, ავად იყო თუ კარგად, რაღაცას ვახერხებდი: ვნათლავდი ჩუმად, წესს ვუგებდი ქურ[illegible]ლად, გ[illegible]დი მალულად, ამ ოხერ კოლექტივების შემდეგ რაღა უნდა მოვახერხო?—შესჩივლა ერთხელ გულშეწუხებულმა გაბრიელმა თავის მეუღლეს. [illegible] დალახვროს ღმერთმა ამ კოლექტივების მომგონი!

ერთხელ წირვაზე, რომელსაც გაბრიელის გარდა სხვა არავინ დასწრებია, ასე „დალოცა" გაბრიელმა კოლექტივი:

— კოლექტივის დამხობისათვის, მის თავმჯდომარის დამარცხებისათვის... უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი კოლექტივი ყველას სჯობია.

— ფიქრი ნუ გაქვს: მე ისეთი ახალი ამბავი გავიგე, რომ... მიახარა ერთხელ ცოლს

— კარგი, ერთი მითხარი რა გაიგე?

— რა გავიგე და ღმერთი „ამდგარა შამქორში.

— ვაი, ისე ადექი შენ ხვალ! ღმერთს რა ააღდგენს"?

— რაფა, არც შენ გჯერა „აღდგომა"?

ტყვილა ატყუებდით ხალხს? მართლა მოსასპობი იყავით ხუცები და მადლობა ღმერთს, ქე დაგადგათ შაკიდღე.

— ში ყურებ დასამსებო, გეგეგ, რომ შამხორში გამოჩენილა ღმერთი, რომელიც ბრმას თვალებს უხელს, მუნჯს აალაპარაკებს, ფეხებს აბამს, უხელოს—ხელებს და ასე.

— არა, ეგ ტყუილი იქნება, მარა—ამით ცოტა მაინც ისარგებლებ კაკო...

მეორე დღეს დაფაცურდა ჩვენი დეკანოზი; როგორც იქნა შეაგროვა თავისი მცირე რიცხოვანი მრევლი და გადაიქცა ქადაგად:

—ჩემო სულიერო შვილებო,ხომ გეუბნებოდით მეორეთ მოსვლა იქნებამეთქი.

— რაფა, ვინ მოვიდა მეორედ, მამაო?—შეეკითხა ერთი მოუთმენელი მორწმუნე.

— ვინა და ღმერთი მოსულა შამქორში; დაუწყია სასწაული, მარა რაფერი სასწაული! შკვდარი გაუცოცხლებია, მუნჯი აულაპარაკებია, წყალი ღვინოთ არ გადაუქცევია, თორემ სხვა არაფერი აღარ დაკლებია.

— ნეტა ჩვენში ამდგარიყო ის დალოცვილი.—ჩაილაპარაკა ერთმა მორწმუნემ თავისთვის.

— რაიო, რაიო?—შეეკითხა მას აღელვებული დეკანოზი—სულ ერთი არ არის, სადაც „აღდგება" ღმერთი? ის ერთად ერთია ყველგან, როგორც აძერბეიჯანში, ისე საქართველოში და მიელ დუნიაზე.

— ეგ მართალია, მარა უკეთესი იყო ჩვენს მიწა-წყალზე, რომ ამდგარიყო.—უპასუხა ბოდიშით იმავე მორწმუნემ.

— ხო შენც მართალი ხარ, მარა სჩანს ჩვენ შეგვიძულა ღმერთმა, ახლა არის ჩვენზე: „შობა" დავივიწყეთ, „აღდგომას" ხომ ამდენი ხანია პასკა არ მინახავს თვალით. ამ „აღდგომისათვის" ყველანი მოამზადეთ, თუ გინდათ „შამქორის ღმერთმა" ჩვენსკენაც მოიხედოს.

მორწმუნენი დაიშალნენ. გავიდა ხანი. შამქორის ღმერთს" ციხეში უკრეს თავი. ჩვენი დეკანოზი კი დანჯღრეული ზარის რეკას გუშინ დილიდან შეუდგა, მაგრამ აბა მიხედეთ დღეს ჩვენს ეკლესიაში თუ ათ კაცს ნახავთ.

**ქველი.**

## ლ ა ყ ე  კ ვ ე რ ც ხ ე ბ ი




— კურთხეულო პაპი, როგორაა საქმე, მალე გამოჩეკავთ?
— კვერცხები ლაყე აღმოჩნდა, არაფერი გამოდის!

# „თვითშეგნება“

## ოპერეტა ერთ სურათად

ბათლომე (მღვდელი) უზის მაგიდას და იცქირება სარკეში, ხელში მაკრატელი უჭირავს. ამოიხრებს და დაიწყებს:

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია,
რადგან მე მაქვს გრძელი თმა და წვერია.
დღეს სოფელში ყველა ჩემი მტერია,
გავხდი კაცი ნაგავი და მტვერია.
უწინდელი ტკბილი ყოფა სად არი!
თვით სოფელმა დაანგრია საყდარი.
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...
გავიკრიჭო უნდა თმა და წვერია.

იკრეჭს თმასა და წვერს, თანაც სარკეში იცქირება.

— მე და ჩემმა ღმერთმა ასე სჯობია!... გამარჯობა ბათლომე! (თავისთავს სარკეში თავს უკრავს). ვერ მიცანი? მე ვარ-ბათლომე მღვდელი... დიახ, დიახ, მე გახლავარ.

ფოფოლია (თავს შემოჰყოფს კარებში) ნეტა ეს კაცი ჭკუიდან ხომ არ შეშლილა, რომ გიჟივით თავისთავს ელაპარაკება (შემოდის).

ბათლომე (მოუხედავად). ფოფოლია, მოდი აქ და ჩაიხედე სარკეში, — ვიღაც უცნობს დაინახავ.

ფოფოლია (მოდის საქსისკენ). შენმა ცქერამ თვალები გამითეთრა... კაცი დაბერდი და არშიყობას თავს მაინც არ ანებებ. (ჩაიხედავს სარკეში და შეკრთება) უიმე ვინ არის?! (წაბარბაცდება).

ბათლომე (ხელს ჰკიდებს) გამაგრდი, ნუ გეშინია! ეს მე ვარ — ბათლომე.

ფოფოლია (შეხედავს და თვალებს ახამხამებს) ვაი, ვაი, ვაი! რა მეშველება (სტირის).

ბათლომე. ამდენხანს რა გვეშველებოდა, თორემ აწი რა გვიჭირს! სამსახურს მომცემენ: ან სკოლაში მასწავლებლობას, ანდა კოოპერატივში ნოქრობას.

ფოფოლია (წარმოდგა). კოოპერატივს სჯობია, მასწავლებლობა რად გინდა! კოოპერატივს მიაშურე, კოოპერატივს.

ბათლომე (აძლევს მაკრატელს). ჰა, მაკრატელი და კოხტად გამკრიჭე, მე კარგად ვერ მოვუდექი.

ფოფოლია (კრეჭს). კაცო, რა გიქნია ეს? ასე როგორ გამოხვალ ხალხში?

ბათლომე. „ისე“ გამოსვლა იყო სასირცხო, თორემ „ასე“ არხეინად გამოვალ. ხომ ხედავ — როგორ ჯეელად გამოვიყურები ეხლა! აწ გამიფრთხილდე უნდა, ჩემო ფოფოლია, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი! (თვალებს ჩაუქნევს) გაგეყრები და გოგონას შევირთავ ცოლად; ნუ გეშინია, უარი არ მითხრან ასეთ ბიჭს (გაჭიმულად გაივლის).

ფოფოლია. მაგრე ნუ დაიწყებ, თორემ — ცნახოთ ვინ ვის აჯობებს (გაინაზება).

ბათლომე. ეჰხ! „ფერი ფერსა მადლი ღმერთსა“-ო სწორედ ჩვენზეა თქმული. (ეალერსება).

ფოფოლია (ესეც ეალერსება) ოღონდაც, ოღონდაც!

ორივე: ეს ქვეყანა ჯარასავით ტრიალებს,
ძველ ცხოვრებას ანრგევს და ატრიალებს.
დღეს გაზუნდა ღმერთი, ჯრული, ჯვარია
და დაესვა ყველა ამათ ჯვარია.

ხი—ლი.



რომის პაპის ზარბაზანი

# ნახუცარის სააღდგომო სიზმარი

სოფლის ხუცესი, იონა ბურჩხიკიძე, თავის დროზე, მას ჟამსა შინა, როცა ნიკოლოზ ნიკოლოზობდა, ხოლო გიორგი ეპისკოპოსი — გიორგ-ეპისკოპოსობდა, ითვლებოდა მთავრობისა და საეკლესიო იერარქიის ერთ ერთგულეს მონად და მსახურად.

იონა ბურჩხიკიძისთანა ყოვლად დაკარგული სოფლის ხუცესი, არა თუ ბურჩხიკიძეთა გვარში, მგონი, მთელ საქართველოში არ მოიძებნებოდა.

იონა ბურჩხიკიძემ კი ხანია „თავი დაგიკრათ“, როგორც სოფლის ხუცესმა.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციის ბორბის ცხელი დღეებიც კი არ მოჰყოლია კარგათ ზურგში, რომ იონა ბურჩხიკიძემ თავისი ანაფორა ევროპიულ კოსტიუმად გადააკეთებია ანთიონა თერძს, ხოლო მისი პრასის ფოთლებივით გაშლილ-გაფაფრული წვერები და ორ ლომის დიდრონ თავულებივით იქით აქეთ გადაგრეხილი ულვაშები ძირზე მოაკანკალებია მელქისა დალაქს ახლობელ დაბაში.

შინ დაბრუნებული მამა იონა ფოფოდია დესპინემაც კი ველარ იცნო და როგორც ბურჩხიკიძის ოჯახთან ახლო მდგომი პირები გადმოგვცემენ, მეხუთე საღამომდე ახლოც კი აღარ გაკარებია.

ასე დასახლდა სოფელ ჯინჭარეთში გაყოფილ ფოფოდიას, ამიერიდან უკვე მარტო დესპინე ბურჩხიკიძის გულში „თავისუფალ“ საქართველოს ქვეშევრდომი ივანე ბურჩხიკიძე, რადგან ნაკუროხ წვერისა და ულვაშების მომძულებელმა ნახუცარმა ღალაც თავისი სახელი „იონა“ დაინდო და ისიც მოხდენილ — ოსტატურად შესცვალა უბრალო ივანედ.

მალე ივანე ბურჩხიკიძე სამსახურშიც კი მოკალათდა ერთ-ერთ სამაზრო ერობაში და მენშევიკური ხელისუფლების ერთგულესი მოსარჩლე და მამაგეც კი შეიქნა, მხოლოდ ასე ეროვნულ დემოკრატიულ განხრით.

მაგრამ... „ყველაფერი მოძრაობს, ყოველივე იცვლება“...

ნახუცარმა ივანე ბურჩხიკიძემ თავისი ეროვნულ დემოკრატიულობიდან მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად „გააღრმავა“, რომ მუშათა ხელისუფლების დამყარების დროს თავი კომუნისტად თ უარა, კომუნისტური მოძრაობის ერთგულეს თანამგრძნობლად მაინც უდაოთ მოჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს უდაო ჭეშმარიტება მაინც იშვიათია ამ ქვეყანაზე და ბურცაკიძის ამ უდაო ერთგულებასაც მოდავე და მოკრიტიკე ბლომად აღმოაჩნდა, მაგრამ ოსტატი ნახუცარი მაინც ახერხებდა, ასე ვსთქვათ, „თავის გატანას“. დავანებოთ თავი ბურჩხიკიძის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას. რადგან ამხანაო ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ერთი ეპიზოდი ბურჩხიკიძის ცხოვრებიდან.

აღდგომის წინა დღეა. ბურჩხიკიძის ოჯახი ორად არის გაყოფილი. ერთ მხარეს— გამოუკლებლივ უღმერთოთა კავშირში წევრად მყოფი პატარა ბურჩხიკიძეები და მათ მხარეს ოდესმე ხვთის მსახურებისაგან მუხლებზე კოჟრების მატარებელი მამა, ხოლო მეორე მხარეს მარტო ოჯახის დედა, ყოფილი ფოფოდია. დესპინე, ეს უკანასკნელი დარჩა, ერთგულად, როგორც სარწმუნოებისა, ისე თითქმის ყველა საეკლესიო დღესასწაულებისაც, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ პატივს სცემს აღდგომას, მხოლოდ კიდევ უფრო განსაკუთრებით სააღდგომო პასკას.

დესპინე იგონებს შორეულ წარსულს, როცა მისი იონა, პასკებით გატენილ ხურჯინს მოათრევდა ჯორით ხოლმე და ჯორსაც ისეთივე რიხით მოათოხარიკებდა, რომ უკვე შორიდან თვალ შენასწრებ დესპინეს ეს ორი არსება: ჯორი და ზედ მამა იონა, ორ მოგოგავე „კუკლად“ ეჩვენებოდა.

უსაზღვრო იყო დესპინეში პასკის სიყვარული იმ დროში. მაგრამ რა უნდა იყვეს ეს სიყვარული ეხლა, როცა უკბილო დესპინეს ხსოვნა — ოცნებაში გამაღიზიანებელ ჭიასავით გაირბევა ხოლმე ფაფუკი პასკის ნაჭერის კბილებით ჩაღეჭვლის შორეულ მოგონებით.

და თქვენა გგონიათ იონა... უკაცრავად, ივანე ბურჩხიკიძის ხსოვნაში კი, ნაკლებ სიმწვავეს იწვევს ეს შორეული წარმოდგენა.

მაგრამ საღი მოსაზრება ამ შორეულ და ცრუ—წარმოდგენებს გველივით უჭეჭყავს თავს ად ივანე ბურჩხიკიძეც თავ გამეტებით იცავს, როგორც უპასკობას, ისე უღმერთობას და, თუ გნებავთ, უეშმაკობასაც.

მაგრამ ეშმაკი ახლაც ძალა უნებურად აგონებს თავის არსებობას ნახუცარ ივანე ბურჩხიკიძეს.

ეშმაკი რომ არ იყვეს... ფუი, ეშმაკს, ბურჩხიკიძე, განა იმ სიზმარს ნახავდა, რაც მან ნახა.

...წინ მამა იონა თავის ჯორით და უკან მისი „პრიჩეტნიკი“ სეფე-კუზა დავითიანით იღლიაში და ცივი საცეცხლურით ხელში, ძლევა-მოსილათ მიარღვევენ სოფლის ორღობეს. ღამეა. სააღდგომო წირვის შესასრულებლად მიეშურებიან ხუცესი და „პრიჩეტნიკი“. მაქსიმე სტაროსტას, რომელიც უფრო ახლო სდგას ეკლესიასთან, ვიდრე ხუცესი და „პრიჩეტნიკი“, დავალებული აქვს მამა იონასაგან სააღდგომო ზარის რეკას ატეხა, როცა რომელიმე ახლობელ სოფლიდან კი გაისმის ასეთი.

ხუცესი და „პრიჩეტნიკი“ თავ-პირ ღლეტით წამოიჭრენ საწოლებიდან, ერთმანეთს მათ-მათი ეზოებიდან ხმა მისცეს, შეერთდენ და გამოსწიეს ეკლესიისაკენ.

მაქსიმე კი გამალებით ურტყამს და ურტყამს ამ დროს ზარს.

წირვა გათავდა. ხუცესი, „პრიჩეტნიკი„ და სტაროსტა მაქსიმე ეკლესიიდან ეზოში გამოვიდენ, სადაც საფლავზე მრავლად მოსჩანდენ დაყუდებული პასკები, თითქოს ნაწვიმარ ნიადაგს მრავლად სოკოები დასხმიაო.

ბურტყუნ-ბურტყუნით გადადიან ხუცესი და „პრიჩეტნიკი“ საფლავიდან საფლავზე და გადასვლის დროს თვალს არ აშორებენ მაქსიმე სტაროსტას, რომელიც დაკურთხებულ თუ სხვა რამე ხორაგით გამალებით სტენის მღვდლის ხურჯინს.

ხურჯინი მღვდლის არის, მონაკრები პასკა თუ სხვა რამ ამ ხურჯინში გროვდება პირველად და შემდეგ უკვე აქედან ინაწილებენ ეკლესიის მსახურნი: ნახევარი ხუცესს, მეოთხედზე ცოტა მეტი „პრიჩეტნიკს“, ხოლო დანარჩენი სტაროსტას.

მამაო იონა, რატომ მქვიან ამას პასკა უფლისა და არა საძლომი ჩვენი მუცლისა—შეეკითხა უცბათ სტაროსტა მაქსიმე, რომელსაც ზედვე ეტყობა, რომ არა ასეთი, არამედ სულ სხვა კითხვის მიცემა უნდოდა, როგორც ამ წუთში უკმაყოფილოს ნადავლის გახაწილებით, როცა მაქსიმეს იმდენი ხორაგისაგან ერთათ ერთი პასკა უწია, ხოლო გაჯავრებულმა ბილო ის და იქვე ჩასანსლა ხუცისა და „პრიჩეტნიკის“ თვალწინ.

— იმიტომ, რომ...

რაღაც უკმეხი პასუხის მიცემა უნდოდა ამ თავხედურ ქცევასა და კითხვაზე, მამა იონას თავხედი ხელქვეითისათვის, მაგრამ აღარ დასცალდა, რადგან სწორედ ამ დროს მას გამოეღვიძა. მუცელში საშინელი სიცალიერე იგრძნო, ამ თავის უხერხული მდგომარეობის დასაფარავად ძალიან მოუნდა ასე ნახევრად ბურანში მყოფს დაესრულებინა სტაროსტა მაქსიმესათვის წამოყენებული პასუხი. გამალებით ეძებდა რაიმე მოხდენილ სიტყვას და ვერ ენახა იგი... ნახუცარის აღელვებულ გონებას ბუზებივით ეხვეოდა სხვადასხვა ფრაზა...

— იმიტომ, რომ მუცელს ვერ აძღებს...

— რაო, პასკა ვერ აძღებს მუცელს, ვინა სთქვა ეს.

— აბა, იმიტომ, რომ პასკა...

— რაო, პასკა საძლომათ საყოფი, ვის გაუგონია...

## დაპყრობა





ღმერთი:— ალარ ვიცი სად წავიდე! აქაც აღარ მაყენებენ.

## ტელეფონით



ღმერთი (პაპს): — როგორ არის საქმე: შეუტია თუ არა საბჭოთა კავშირს?

რომის პაპი: შეუტიე კი არა, მერჩივნა ჩემს ტყავში დავტეულიყავ და კრინტიც არ დამეძრა.

# ღ მ ე რ თ ე ბ ი ს ა უ რ ზ ა უ რ ი

**მოქმედნი პირნი:**

**ღმერთი საბაოფე** — ბებრუხანა 1002 წ.
**იელოვა** — შვიდიათასი წლის ინვალიდი.
**ალაჰი** — ღმერთი არამსმელი, მოხდენილი როგორც გორილა.
**ბუდდა** — ქაბუკი 6.000 წ. ცხოვრობს უმთავრესად ინდოეთში.
**იუპიტერი** — ღმერთი—უმუშევარი..
**გაბრიელ - მთავარ ანგელოსი** — აყლაყუდა. და სხვა.

**საბაოფ** (საბაოფი ზის საწერ მაგიდასთან, ანგარიშობს სამოთხის გაძლიერებულ ხარჯებს). — წელს ისევ დეფიციტი! ს. ს. რ. კ. ისევ მიკარგავს გონებას!.. აღდგომა ცხვირს წინ მოდგა. რით უნდა შევინახო ჩემი მორწმუნე მრ..ლი? ყოველ-დღე ძვირდება ყველაფერი. ეს ღურია კი ისევ არ მეშვება, მიყიდე სააღდგომო მთვარიან - მარსიანი მატერიის კაბაო. იუპიტერთან უნდა გავგზავნო შესანახად .ოხ! საზიზღარნი გახდენ საქმენი შენი უფალო!.. (წყნარად ბუტბუტებს: „დიდება შენდა უფალო!..").

**ქაჩალი ანგელოსი** — უფალო საბაოფ! მესამედ მოგახსენებთ, რომ გეახლათ ბატონი ალაჰი. მიბრძანეთ თუ შეგიძლიან მიიღოთ!

**საბაოფ** — რა უნდა მას ჩემგან? თუ უნდა, რომ თავის მრევლის შესანახათ მთხოვოს სარჩო, ტყუილად სცდება. მე თვით არ მყოფნის. სთხოვეთ შემოვიდეს.

**ალაჰი** — სელიამ ალეიქუმ საბაოფ!.. შემოსავალს ანგარიშობ! კარგი საქმეა... გაიგე ახალი ამბავი!

**საბაოფ** — არა. მე უკვე ორი კვირაა გარედ არ გავსულვარ. „ზეცის ამბები"-ს უკანასკნელი ნომრებიც კი არ წამიკითხავს.

**ალაჰ** — არც ღირს. მიწიდან მეტად საზიზღარი რადიო-დეპეშები მოდის. საბჭოთა კავშირში მეომარმა ულმერთოთა კავშირმა გადასწყვიტა ჩვენი ლიკვიდაცია.

**საბაოფ!** — ჰი, ქაჯების ქვეყანა, რომლიდანაც შემოსავალი ერთი გროშიც არ არის. რა უნდათ იმ საძაგლებს?

**ალაჰ** — უნდა ააფეთქონ ზეცის ყველა სიმაგრეები!

**საბაოფ** — მაგასაც ვნახავ. ამ საათში რადიოთი დაუძახებ რომის პაპს, რომ მიიღოს ზომები.

**ალაჰი.** ეჰ! როგორც ვხედავ შენ სულ ჩამორჩი მიწიერ საქმეებს. რატომ არ იცით, რომ რომის პაპი მხოლოდ უწმინდესი გახდა ტიკინა და მეტი არაფერი.

**საბაოფ** — ბატონო ალაჰ! გთხოვთ ცოტა ზრდილობიანად და მასთან ფრთხილად ილაპარაკოთ ჩემს მემკვიდრეზე. რომ პაპმა პიუსმა თვით მუსოლინიც კი გადააქცია თავის ლაქიათ; მაკდონალდი ხომ ლონდონში კალოშებს უწმენდავს მას. კარლ კაუცკიც კი ალსარებისთვის ჩავიდა დიდ ხუთშაბათს ვატიკანში.

**ალაჰ** — გადააგდე მაგ აბდაუბდა პაპს ჯვაროსანთა ომის მოწყობა უნდოდა საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი გამოვიდა (კანტორაში შემოვა იელოვა).

**იელოვა** — ბოდიშს ვიხდი, დაუკითხავათ რომ შემოველი. ფეხები სალოდავად მიკანკალებს... საქმე ცუდათ არის... ებრაელები სამსჯავროს დღესაც კი აღარ ლოცულობენ „იომ კიპურ"-ს... შაბათობით მუშაობენ...

**ალაჰ** — ოჰ, ჩემთანაც არ არის კარგად საქმე! ეფენდი და მოლები მალე ჩამოჰყრიან ყურებს. ქალები ჩადრებს იხდიან, მიდიან სკოლებში სასწავლებლად, მუშაობენ ქარხნებში, მიყვებიან ცოლებად გიაურებს... მეჩეთები კლუბებათ გადააქციეს.

**საბაოფ** — ერთი ამას უყურეთ! მე ვფიქრობდი, რომ მარტო ჩემს ეკლესიებში იყო საზიზღრობა; თურმე ყველგან ყოფილა ეს ულმერთობა მოდებული. ღმერთებო! ჩვენ უნდა შევერთდეთ დაუყოვნებლივ. ტელეფონით ბუდა გამოვიძახოთ და მოვახდინოთ საბჭოთა თათბირი.

ალლო... 606? რა? დიაღ! მომეცით ბუდას ბინა! ფუ! ანათემა! ტელეფონის ანგელოსი ქალები მუდამ ძილში არიან და არაფერი არ ესმით. ახ, თურმე ბუდა ჩვენთან წამოსულა და უპიტერი არც თუ ფხიზლად დგას ფეხზე. შემოუშვა? (შემოდიან ბუდა და იუპიტერი).

**იუპიტერი** — რაშია საქმე! რა დროს ცერემონიებია! გამარჯობათ! რას ჩამოგიშვიათ ცხვირები?

**ბუდა** — ჭკვიანად იყავ იუპიტერო! გეფიცები დედაჩემს, რომელმაც უმამოდ გამაჩინა ქვეყნად, რომ ჩვენ სრულებით არ გვეხუმრება.

**იელოვა** რა ეხუმრება. რამდენი ხანი დათხოვნილია.

**იუპიტერი** — არც თუ მთლად ეგრეა, ჩემო ძმაო! არიან მორწმუნენი ჩვენიც.

**საბაოფი** — მაშ ასე... ზეციერ საშხედრო თათბირს გახსნილად ვაცხადებ... დღეს თუ არა — ხვალ წითლები ააფეთქებენ ზეცას. მეცნიერება, მიუხედავათ მღვდლების მრავალნაირი ცდებისა, ვითარდება. ადამიანის გონება, მიუხედავათ მრავალ ეკლესიებისა, ნათლდება და უფრო და უფრო ფხიზლდება. მეფეები გადმოჰყარეს, ბატონები პამპულობად აქციეს, მღვდლებს პანღურით ერეკებიან, ეხლა ჩვენ გვემუქრებიან დალუპვით. დღესვე გამოვაცხადოთ მობილიზაცია ყველა ზეციური ძალების... (ამ დროს გაისმის სროლა ულმერთოების... მოისმის სიმღერა: ძირს ღმერთები, ძირს ბერები! ღმერთები შიშისაგან მუხლებზე ეცემიან).

ფარდა

**ᲙᲔᲩᲐᲚᲘᲜᲘ.**

[redacted]

— ჰაი დედასა... კვირაობით, ხშირად, თვეობითაც არ გამოლეულა იგი იონა ბურცხიკიძის მსუყე ოჯახში, მაგრამ დღეს..

— სსუ, ცხადი არაფერი წამოქცდეს ივანე ბურცხიკიძევ, განუსაზღვრელი სიძლიერით ბრძანა ვიღაცამ.

— მაგრამ...

მაგრამ მაინც რომ წამოსცდა...

— ფუი შმაკს. წამოიძახა ისე უცბათ უსიამოვნოთ გამოღვიძებულმა ნახუცარმა და მეორე გვერდზე გადასაბრუნებლად შეიშმუშნა ლოგინში.

— ეშმაკს ახსენებ, ყაზახო... რავა, ეშმაკს მიჰყიდე ახლა შენი სული. მოგინახავს შესაფერი დგილი და იგია... აბა, ღმერთი, და ქრისტე ანგელოზი რავა-ღა ინდომებენ შენისთანა წაწყმედილის სულს...

— გაისმა გვერდით მდებარე, სარეცლიდან დესპინეს წყრომით და ღვარძლით აღსავსე საყვედური, ჰირის ოფლში გაწურულ ნახუცარის მისამართით...

გამწარებულ ნახუცარს იქვე უნდოდა მოწოლილი ბოლმის გადმონთხევა, მაგრამ ახალგაზრდა ბურცხიკიძეების გამოღვირებისა და მათ თვალში სახელის გატეხის რომ არ შეშინებოდა ენაზე მომდგარ პასუხს, სააღდგომო პასკის ნაჭერის ნაცვლად ჯერ კბილი დაადგა და შემდეგ არხეინად გადაუძახა თავის ცარიელ სტომაქში, თითქოს ამით ამ უკანასკნელს აღდგომის დღესასწაულის მისალოცავი გადაუგზავნაო.

სარქმლებიდან კი ძველი აღდგომისათვის ძველთაგან მიჩენილი დღის განთიადი მართლაც აფენდა თავის ჯერ კიდევ ნორჩს და მკრთალ შუქს.

**ᲞᲐᲖᲘᲠᲐ**

## შ ე ტ ე ვ ა



**ᲐᲚᲛ. ᲗᲐᲕ.-ᲠᲔ:**—ვინ იტყვის ჩემზე, რომ სააღდგომო ანტი-რელიგიური კამპანია არ ჩაუტარებიაო! უნდა გავსწყვიტო ზეცაში ღმერთები და წმინდანები!

## სასაფლაოზე. მღვდელი და ფოფოდია



## გლეხი და ექიმი

**გლეხი:** რა უსინდისონი ყოფილან ი შენი ქალაქელი ამხანაგები.

**ექიმი:** ვინ ამხანაგები, კაცო, რას ამბობ.

**გლეხი:** ვითომ არ იცი: ექიმები!

**ექიმი:** რა იყო, რა დაგიშავეს.,

**გლეხი:** შენ ხომ იცი, რომ ამას წინათ ცალი ფეხი დამიშავდა.

**ექიმი:** ჰო, მერე?

**გლეხი:** ჰო-და, ქალაქელმა ექიმმა ამ დაზიანებულ ცალი ფეხის მოჭრაში ორასი მანეთი გამომართვა.

**ექიმი:** ახია შენზე: ჩემთან რომ მოსულიყავი, ორას მანეთად ორივე ფეხს მოგჭრიდი.

## ცოლქმრობის პირობა

[illegible], ჩემო სანდრო, რა გირა: აფრიკაში და გარდეიაში...

— მოიცა სად არის ეგ ქვეყანა?

— სახარაში.

— სახარა სადღაა?

— ეეჰ, როგორ განიშნო აბა...

— ჰო, კარგი, სთქვი რაც გინდოდა.

— აფრიკაში და გარდეიაში ქალი ისე არ გათხოვდება, თუ საქმროს შემდეგი პირობით არ შეეკრა: 1. არ დალიოს ღვინო, 2. არ მოსწიოს პაპიროსი და 3. არ უღალატოს ცოლს.

— რომ არ შეასრულოს ქმარმა?

— მეორე დღესვე გაეყრება.

— ჰმ! კარგი ამბავი ყოფილა, თქვენმა მზემ: ის ქალები რომ ჩვენში იყვნენ, ცოლიანი მამაკაცი სანთლით საძებნელი იქნებოდა.

**უჩინარი.**

# ერთიც შუაზე გავაწკაპუნოთ

ეს იყო ძველად მთიულეთის სოფელში.

— უფალო არქიელო, ჩვენი მღვდელი ვერ სწირავს კარგათ, იმის ღვდლობას არა ეცხია რა. გამოდის ხოლმე მთვრალი და ბუტბუტებს რაღაცას! — წარსდგა წინ დელეგაციის მეთაური, სოფელმა რომ გამოგზავნა ტფილისში, და უთხრა, მოწიწებით ემთხვია ხელზე არქიელს მოხუცი გლეხი, რა მან პირჯვარი გადასახა და ხელი გაუწოდა.

— როგორ თუ არ ვარგა! მე ვაკურთხე, მე დავნიშნე იქ და...—აილეწა არქიელი, გაუწყრა დელეგაციას.

მათ კი გაუწყრა, მაგრამ ჩაისვა წვერზე ხელი, გაახსენდა თავის მეკარე სემინარიაში რომ ყავდა ნიკოლა, მერე მსახური გოგო გაიანე, რომელთანაც „რაღაც" მოუხდა,— მიათხოვა ნიკოლას, აკურთხა მღვდლად და დანიშნა შორეულ სოფელში; ნიკოლა განა ისე ჩამოვიდოდა როდისმე, რომ ძღვენით გატენილი ხურჯინი არ მიერთვა „მამა" არქიელისათვის!

რა უყოთ რომ მღვდლობისა, სულაც არაფერი ეცხო ნიკოლას, მონატრა გაიანეს ნახვაც და უთხრა მოსულთ:

— კარგი, მე თვით ამოვალ იქ ამ დღეებში, რევიზიაზე და თუ მართლა არ ვარგა, სხვას დავნიშნავთ.

დელეგაცია გახარებული დაბრუნდა სოფელში იმ იმედით, რომ მოიშორებდენ ლოთს, მექრთამეს, უვიცს ნიკოლას.

— ნეტა შენა, დედაკაცო, ვიდრე უფალი არქიელი მწყალობს, რას დამაკლებენ ეს ტეტიები! — ხშირად მიუგებდა ნიკოლა ფოდოდიას, როცა ის ეჭვს გამოსთქვამდა ხოლმე.

— მრევლში შენზე უკმაყოფილებაა და...

არქიელი ავიდა სოფელში. დატრიალდა ნიკოლა, მიეგება გაიანე. გაიშალა სუფრა.

— ჰმ! — შურნაგათ გადახედა არქიელმა გაიანეს, მასთან გოგოთ რომ იყო, მაშინ, ქნაკა, გამხდარი, ეხლა ჩასუქებული, ლოყებ-დაბრაწული, გავა მსხვილი..

ნიკოლა დიაკვნის შესატყობინებლად რომ წავიდა და დაბრუნდა, ვერ მიხვდა, თუ რატომ იღიმებოდა არქიელი, თვითაც წვერზე რატომ ისვამდა ხელს, გაიანე რატომ იყო აწითლებული და პირს არიდებდა...

— უფალო არქიელო, შენც ხომ იცი და მეც ვიცი, რომ ხუცობა არ ვიცი, და...—გადმოსძახა ნიკოლამ ტრაპეზიდან გალობით, რა მეორე დღეს წირვა დააყენა, სოფელი შეიკრიბა, არქიელი დაესწრო სარევიზიოთ...

— გაკურთხოს უფალმა! — მიუგო ჩუმად არქიელმა.

— სამი ქოთანი ფული მაქვს: ერთი შენ, ერთი მე, ერთიც შუაზე გავაწკაპუნოთ!— დაათავა ნიკოლამ, გალობაში მოხერხებულად გაატარა ეს სიტყვები.

არქიელს სახე გაუბრწყინდა. მერე მოიღუშა და მიუბრუნდა დამსწრეთ.

— ძალიან კარგათ სწირავს, როგორ ბედავთ ჩივილს ღვთის მსახურზე!?

— ასე კარგათ არასდროს უწირია, ალბად თქვენი რიდით...—ამის მეტი რაღა უნდა ეთქვა იმავე მოხუც გლეხს, მაშინ უფრო მიხვდა სასულიერო წოდების პირთა თაღლითობას.

— : —

გავიდა დრო, მთიულეთსაც მოეფინა განათლების სხივები. ამ ნაეკლესიარს ეხლ კლუბი ამშვენებს და თქმულებას, რომელსაც იგივე გლეხი, ეხლა ღრმად მოხუცებული, ხშირად მოიგონებს ხოლმე, სიცილით ხოცავს ხალხს და სოფლის ახალგაზრდობა, რომელიმე საეკლესიო დღეობის დროს გასცენიორებენ ხოლმე ამ ამბავს, ჩაიცვამენ ნიკოლას ოლარს და საეკლესიოს უმღერენ ქალებს იმავე სიტყვებით.

— ერთიც შუაზე გავაწკაპუნოთ!..

**ტარზან**

## რ ა დ ი ო

### ყლაპი

სამტრედია. ამ ჩვენს სანდრო კ ჰალეიშვილს როცა მოხვდა ფული ხელში,— აილო და უცაბედად ქე გადასცდა მას მუცელში. სულ ხუთასი მანეთია, (თანხა მცირე, უმნიშვნელო)... ლადო დროზე მოეშველა, და დალიეს სადღეგრძელო, და მშვიდობით მოინელეს, არ შეემთხვა მას ხიფათი. (სულ ადვილად მოინელებს, თუ კაცს კი აქვს მარიფათი).

ჭიჭე.

### ჭკუაზე მოსვლა

ამაღლება (გურია). ამ ჩვენს ხუცესს ამშვენებდა ჯვარი, თმა და დიდი „უსი“. მაგრამ გუშინ მოიწვია გასაკრეჭად კოსტა რუსი, (რადგან მიხვდა— მისი ლოცვა იყო ფუჭი და ამაო). გაგვიკრიჭა, გაგვიპარსა კოსტამ მალე ჩვენ მამაო.

„აფრიკელი ციცე“.

### „დაწინაურება“

სოფ. ზედა-რგანი (ჭიათურა). უწინ ჰყიდდა კონტრაბანდას, (ეკუთვნოდა ასეთ ბანდას); ბათომსა და ტფილისს შორის მას გაბმული ჰქონდა ძაფი...

სამტრედიის ვარიებსაც გაადინა პლომად ქაფი.

ცხვრების დუმაც არ მიიკლო — 'თიდან ბარში ჩამოდენა...

მაგრამ ბოლოს რომ გააგდო სამი 'ეტრი გრძელი ენა,— შეძვრა კოლა ერგიმლიძე კომუნისტურ პარტიაში და მანდატი დღეს ამაყად უჭირავს იილიაში.

კოლოურელი.

### ორი ამბავი

დუშეთი. ჩვენს თეატრში ინტრიგაა. ფაცი არის მსახიობი. მის საქციელს რომ გაუძლო, უნდა იყოთ თქვენ იობი. ამას წინად როცა დათვრა, გაგვილახა დავითაო: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

იქიდანვე. ყოფილ დიაკვნებს, მღვდლებს, ვაჭრებს ვეძებდი, დაკარგულიყო. კოოპერატივში შევედი, ყველა იქ შემალულიყო.

ნიშადური.

დვაბზუ (ოზურგეთი). კოოპერატივი რასაც მიიღებს, კარგს ყოველივეს ნოქარი იღებს.

— შაქარი, შალი, კალოში, ტილო, თქვენ წაიღეთო, ჩემო ცოლშვილო!

მისი მეუღლე მუდამ დახლშია და რაც მას მოსწონს, მიაქვს სახლშია.

ისმის მიმოთქმა და საყვედური, მაგრამ არავინ ათხოვა ყური. მას მფარველი ჰყავს აქ ბარე ექვსი; (მათში პირველი არის ალექსი. ნოქარს მაგარი აქვს თვისი ფრონტი... ეს გმირი გახლავთ —კალისტო ღლონტი.

დეში.

## ს ი ზ მ ა რ - ც ხ ა დ ი





## გ ა წ მ ე ნ დ ი ლ ი

მამა ისიდორე მოწყენილათ შეუდგა სააღდგომო წირვის დაწყებას.

ან რა ქონდა გასახარი?

აქამდი ეკლესიაში ორი დედაბერი მაინც დადიოდა, ახლა კი ისინიც აღარ სჩანდენ.

—უ-ფ-ა-ლ-ო-ო შ ე ე გვწყალეე..—მტირალის კილოთი გალობდა დიაკონი.

ამ დროს ეკლესიაში ბეღურა შემოფრინდა; მაცხოვრის ხატის წინ დადგმულ შანდალზე დასკუპდა და ნისკარტით კურტუმის კანის ჩიჩქნა დაიწყო.

— აქში, აქში!—მიაყვირა „უსირცხვილო“ ბეღურას დიაკონმა.

ბეღურა არხეინათ იჯდა და კურტუმის ჩიჩქნას განაგრძობდა.

— აქში, აქში!

ხაპასუხოთ ბეღურა გასწორდა, კურტუმი ამართა, და შანდალზე მოთეთრო სითხე გადაღვარა.

— აქში,—აქში! შე ბილწო! უსირცხვო! ბინძურო! აქში, შენი მამასული, შე პატრონსაკვდავო! ძაღლის გაგდებულო! აქში შენი... გაბრაზდა დიაკონი, და ის იყო უნდა მოექნია ლოცვანი ურჩ ბეღურას ზურგზედ დასარტყმელათ, მაგრამ ამ დროს ტრაპეზიდან ხუცესი გამოვიდა.

— დამშვიდდი სილიბისტრო, რამ გადაგრია კაცო? გაგიგონია წმინდა საკურთხეველში აგრე გინება? დაიმასქნა, კაცო სხვა ხომ არაფერი უქნია? რა უყოთ! თეთრი სითხეა,—სანთელი ეგონებათ! მუქთი მაინც არის! —დაამშვიდა ხუცესმა.

ცოდვაგაწმენდილი ბეღურა არხეინად გამოფრინდა და მინდორ-ველს მიაშურა.

ანტი.

# „თარჯიმანი“

ვის გაგიონიათ დრამატურგ გ. ერისთავის პიესა „დავა“ და მისი გმირი თარჯიმანი? ალბად ყველამ იცით? თუ ვინმემ არ იცით, ან დაგავიწყდათ ამ თარჯიმანის „ნათარჯიმანები“, მაშინ შეიარეთ პუშკინის ქუჩაზე კანტორა „თარჯიმანში“. მიიტანეთ ათიოდე სიტყვა გადასათარგმნათ, ფულიც წინდაწინ მიეცით, და თქვენ დარწმუნდებით მიღებულ თარგმნის მიხედვით, რომ კანტორა „თარჯიმანის“ თარჯიმანები არაფრით ჩამოუვარდებიან გ. ერისთავის სასაცილო გმირს.

აი „თარჯიმანის“ სურნელოვანი თარგმანი, რომელიც ამშვენებს სახოპერის ბაღში მოთავსებულ გამოფენა— პანორამის კედლებს.

1) Кремация совершается по любому религиозному культу, или без обрядов.

თარჯიმანი ასე თარგმნის:

**„კრემაცია შეიძლება შესრულდეს ყოველგვარ სარწმუნოებრივ კულტის მიხელვითან, სრულიად ჩვეულებების გარეშე!“**

დაანებე, მკითხველო, თავი ამის გარჩევას. ვნახოთ ქვევით.

2) Ввод гроба с покойником в кремационную печь.

**„მიცვალებულის კუბოს კრემატიულ ლუმელში შედგმა“.**

გამოდის ამ შესანიშნავ თარგმანით, რომ სწვავენ მიცვალებულის კუბოს, ხოლო მიცვალებულს რას უშვებიან, ალახმა იცის. შემდეგ:

3) Глазок для наблюдения за горящим трупом.

**„ხხეულის დაწვის საყურადღებო საჭვრეტი“.** —(ყოჩაღ!)

შემდეგ:

4) Образцы художественных урн.

**„ურნათა მხატვრული ნიმუშები“.**

ვიდევ:

5) Внутренний вид второго колумбария с хранящимися художеств. урнами.

**„2-რე კოლუმბარიის შინაგანი ხედვა ხელოვნური ურნებით“.**

6) Внутренний вид кремационного зала.

**„კრემატორიუმის დარბაზის შიგნითა ხედი“.**

7) Момент прибытия гроба.

**„მიცვალებულის გასვენების მომენტი“.**

8) Гроб на механизме перед вводом в кремационную печь.

**„კუბო მოწყობილობაზე კრემატორიის ლუმელში შედგომის წინ“.**

და, ბოლოს, ასეთი ქართული: „შენახვას“ მაგიერად — „შეწახვა“, „ცოფის“— მაგიერ— „ცოთი“, „ჭირის“— „ჩირი“, (თუმცა გორის ხილის სახმობ ქარხანაში გაკეთებულ ჩირს არც მთარგმნელი დამიწუნებს) —„ჭლექის“ მაგივრად — „ჩლექი“ და სხვა.

მთარგმნელს ქართული სიტყვებიც შემოლევია (ალბად მის ლექსიკონს ფურცლები თუ აკლდა) თარგმნის დროს, ერთი მაგრად დაუმთქნარებია, სიმწრის ოფლი მოუწმენდია და რუსული სიტყვა ქართულად უთარგმნია... უკაცრავად... დაუწერია— „ვალიერის ლაგირი“, „კრასინის კამანდა“... ვოსო-რერა-ვარადა... და ასე შემდეგ.

იხილა რა ტარტაროზმა ასეთი მარგალიტი თარგმანი, დაადგინა: გადაეცეს თარგმანი ტარტაროზის უფსკერო გოდორს, ხოლო თვით კანტორა „თარჯიმანი“ მისი თარჯიმანებით ტარტაროზის კრემატორიუმს... სასტიკი იზოლიაციით.

მეფისტოფელი.

# გლეხის სიმღერა

ოუ, ლალე, ლალეო,
ბანი მითხარ მალეო;
კოლექტივის წევრი ვარ,
მე მას ვენაცვალეო.

მე არ მინდა ორღობე,
საზღვარი და თხრილები;
ვისაც უნდა მას ქონდეს,
მე არ შევეცილები.

კოლექტივის წევრებო:
პეტრე, პავლე, ილია,
უნდა გითხრათ მეგობრებო,
ერთი რამ ნამდვილია,

კოლექტივში შემოსულან
კულაკები ნელაო;
ამისათვის საჭიროა,
ფრთხილათ ვიყოთ ყველაო.

ოუ, ლალე, ლალეო,
ბანი მითხარ მალეო;
კოლექტივის წევრებო,
მე თქვენ გენაცვალეო.

შურდული.

---

ეხლახან გაერთიანებულ რკ. გზის სხვადასხვა დარგის კანტორაში თანამშრომლები ან. ჭანკვეტაძე და ან. ბრისოვა ლაწლანდარობაში ატარებენ სამუშაო საათებს.

ლიაპისი.



ან. ჭანკვეტაძე: ჩემი ენის სიგრძე კოვერკოტი რომ მქონდეს, კოსტიუმს შევიკერავდი.

ან. ბორისოვა: — საქუდეც მოგრჩებოდა... სამი მეტრი არ დასჭირდებოდა კოსტიუმს.

ტარტაროზი შემდეგი ნომერი

სპეციალური—ნომერი

ქუთაისის

## ალმასკომის მოწმობა, თუ სიცოცხლის მოსპობა

**მოწმობა**



ამის წარმომდგენი მოქ. [illegible] [illegible] [illegible]
არის მცხოვრები [illegible] [illegible] [illegible]
რომელსაც უფლება აქვს იმოგზაუროს და იცხოვროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში დღის რიცხვიდან 1930წ 22/III-დან
განმავლობაში ათას ცხრაას ოც და [illegible]
წლის 22 მარტა მდე. რასაც ვამოწმებ.
სოფლის საბჭოს თავმჯდომარე: [illegible]
მდივანი: [illegible]

ამის წარმომდგენი მოქ. აბროსი დიანოსისძე კოპალეიშვილი არის მცხოვრები სოფელ ეწრის, ქუთაისის ოლქის, რომელსაც უფლება აქვს მოგზაუროს და იცხოვროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში დღის რიცხვიდან 1930 წ. 22 მარტიდან, განმავლობაში ათას ცხრაას ოცდა თერთმეტი წლის „22" მარტამდე, რასაც ვამოწმებ:

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე: (ხელისმოწერა).
მდივანი: (ხელისმოწერა).

ვეკითხებით ეწრის ალმასკომის თავმჯდომარეს:

— რას უპირებთ მოქ. კოპალეიშვილს 1931 წლის 22 მარტის შემდეგ?

— გაუგრძელებთ თუ არა ამ ვადის შემდეგ ცხოვრების უფლებას?

— 1931 წლის 22 მარტის შემდეგ აქვს თუ არა უფლება მოქ. კოპალეიშვილს იცხოვროს საქართველოს გარეშე მაინც?

— როგორ გავიგოთ გამოთქმა: „მცხოვრები სოფელს ეწრის, ქუთაისის ოლქის, რომელსაც უფლება აქვს"... და სხვა, — ვის აქვს უფლება: ქუთაისის ოლქს თუ მოქალაქე კოპალეიშვილს?

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ევალება მეტი ყურადღება მიაქციოს სოფლის ალმასკომების თავმჯდომარეების მიერ მცხოვრებთათვის ცხოვრება-სიცოცხლის კანონიერ განაწილებას.

## ალმასკომის თავმჯდომარემ, შეარჟია არე-მარე

საგურამოს ალმასკომის თავმჯდომარე ვერ ნახულობს განსხვავებას უწინდელ მამასახლისსა და ეხლანდელ ალმასკომის თავმჯდომარეს შორის.

კიდევ მეტი!

— პროლეტარიატის დიქტატურის დროს საჭიროა მაგარი ხელი! — ამბობს ის და, მართლაც, ისე მაგრად არტყამს მაგიდაზე ხელს გლეხების დასაშინებლად, რომ:

ყველას შიშით აცახცახებს,
შეირყევა არე-მარე...
ქალთა ტრფობის დარდისაგან
ხშირად თვრება თავმჯდომარე. (ფერია).

— სოციალისტურ მშენებლობის დრო, — ამბობს თავმჯდომარე, — ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სპეცები, თუ გინდ ეს უკანასკნელნი არ იყვნენ ჩვენი მომხრენი! — ამბობს და... ამა წლის 14 იანვარს მის მიერ იწერება მოწმობა № 56:

„ყველა სოფლის საბჭოს წევრებს:

ამასთანავე ერთად გაცნობებთ, რომ მოქ. მიხეილ მანდარია არქიმანდრიტს ევალება ალწეროს ისეთი პირები, ვინც არის 18 წლის ზევით. ამიტომ გევალებათ გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება ალწერის დროს. (დაცულია მართლწერა)

საგურამოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
პ. (ავლე) ყარმაზანაშვილი.
მდივანი: ნ. კინწურაშვილი.

როდესაც ამის შესახებ ზოგიერთებმა საყვედური განაცხადეს, თავმჯდომარემ დაამშვიდა ისინი: — უწინ ეხლანდელ „ზაქსის" ფუნქციებს ეკლესია აწარმოებდა. ჩვენი არქიმანდრიტი მიხეილ სპეცია ამ საქმეში, ხოლო ამხ. ლენინი ამბობდა, რომ — ჩვენ სპეცები უნდა გამოვიყენოთ.

მიხეილ კი დადის სოფლად და ქადაგობს თავისებურად

## წერილი შვილთან

(დიდი-ჯიხაიში)

მივიღე შენი წერილი, შვილო ანდრია, და იმდენ საყვედურებს იწერები, რომ დედაშენი ალარაა ჯავრით;

წერილები გამოგიგზავნეთო... რა ვიცი, ჩვენ არც ერთი არ მიგვიღია, დეიქცა იასონ მესხის ოჯახი, ყოველთვის კარგავს წერილებს; ბინა ფოსტაში აქ და მისი ბავშები რაგორც უნდათ ისე ათამაშებენ ამ წერილებს... აგი უკანასკნელი შენი წერილი შვილო მისი პატარე ბალანას ჩიტათ გაკეთებია (ქარ იციენ ბალნებმა ქალალდისგან ჩიტის გაკეთება!); გოუფრინა ჩემდა საიდბალოდ და კელუნ ჩვენს ეზოში ჩამოუგდია ქარს. დედა შენს ენახა ბოსტანში და ვიცანით შენი ხელწერა. ანდრია, იცოდე, ბიჭო, აწი თუ ვინმე წამევიდეს, იმას გამოატანე, თვარა ტყვილა არ დეიხარჯო ფოსტით, მაინც ვერ მივიღებ.

ბიჭო, ანდრია, კერძო სამიკიტნოები ყველანი დაკეტენ აქანე და აი ჩვენი კლასების უჩიტლები აქვსენტიეს და კოლიეს მეთაურობით ხარხაგამომშრალი დაიარებიენ ქუჩაში, მარა კონტრაბანდათ მაინც შოულობენ საცხა-საცხა. ისეთ დუქანს ვერ ნახავ — კარტს და ნარდს არ თამაშობდენ, იყრიენ თავს სად არ გინდა, და ჩითავენ დილამდი...

ვასილამ ჩვენმა თავმჯდომარემ იცის აი ამბავი, მარა ქია წაყრუებული...

მეტი რა მოგწერო, შვილო, თუ მოიცლი და ჩამოხვალ, კაია, გვენატრება შენი ნახვა.

გწერს მამა შენი.

ზრაგუნა.

# დ ა ი თ ა ნ ხ მ ა

**მოქმედნი.**
მარიკო
ზალიკო

მარიკო (მოსდევს, უხიოდება)—კაცო, ახლა არ მეტყვი რა ამბავია?

ზალიკო. — რა უნდა გითხრა, დედაკაცო? რომ გადარია ე ვირანა ეს.

მარ. — ისა, რომა ი საბჭოს კაცი და ი გლეხები რას გველაპარაკებოდნენ წელანა, ცალკე რომ გაგიძახეს?

ზალ.— ახლა რომ არ გაიგო, მეცელი წაგიხდება, შენმა აშენებამა, შენ რომ ტყუპტყუპი იცი.

მარ.—აიი, მეხი კი დაგაყარე, მითხარი მეთქი, არ გესმის კაცო?

ზალ.—რას ჩამაცივდა, რა ვქნა, რა უნდა გითხრა, დედაკაცო.

მარ.—ი საბჭოსკაცი და ი გლეხები რას გატლიკინებოდენ მეთქი. არ იტყვი, კაცო, რა შავმა ჭირმა შეგიკრა ე კრიჭა?

ზალ.—გითხრა.... კარგი გეტყვი.,. იმას მელაპარაკნენ, რომა... ესაო ასეო.,.

მარ.—რა ვქნა... რა ბრ-მრ..,. რასა ლუღლუღებ, კაცო, დამუნჯდი, თუ ენა მუცელში ჩაგივარდა.. (აცივდება) მითხარი მეთქი, მითხარი!

ზალ.—აბა, როგორ უნდა გითხრა, შვილოსა, განა დედაკაცთან ითქმის რამე, გინდა ერთი დედაკაცისათვის გითქვამს, გინდა მთელი ქვეყანა შეუყრია.

მარ.—აი, მეხი კი დაგაყარე მაგ პოხრიუა თავზედა.

ზალ.—ისე შველა ამასა ჰქონდეს (გულზე ხელს იცემს) სწორედა ნამდვილი ტელეგრაფია ხარო, თქვე ოჯახ-დაქცეულებო თქვენა. არა, ე დალოცვილი ჩვენი მთავრობა რომ ხარჯსა შერება და ამოდენა ტელეგრაფის ბოძებს უოჭობს, ისა არა ჯობიან თქვენ ჩამოგარიგოთ, ჩაგამწკრივონ ი ბოძების მაგივრადა. თქვენ უფრო მალე არ გადასცემთ ტყუილსაცა და მართალსაცა!?

მარ.—ვერ უყურებთ ამ გულმკვდარი შვილსა, რეებს მეუბნება.

ზალ.—პირძაღლი ვიყო, თუ ტყუილს ვამბობდე.

მარ.—მაშ არ მეუბნები არა. ძალიან კარგი. ვაი ჩემი ბრალიცა შენ ხელში. (ტირის) ვითომ შენცა ქმარი ხარ, აი ქარი კი გაგიდგა მაგ გვერდებში, კარგი რომ შენა ხარ.

ზალ.—კარგი, გეტყვი, მაგრამა თუ დავედარაბა აგიტეხა, ვაი შენი ბრალი.

მარ.—ქაა და განა რა არის ისეთი?

ზალ. ის არის, რომა ი საბჭოს კაცმა გვითხრა, რატომაო კოლექტივს არ შეჰკრამით, ვერ გაიგეთო, რომა მთელი სოფლები კოლექტივში შედიანო. საწყალი, ღარიბი ხალხი ხართო, თქვენთვის სწორედ მისწრება იქნებაო.

მარ.—მერე და თქვენ რა უთხარით?

ზალ.—რა უნდა გვეთქვა. სწორედ ჩვენითანა საწყალი ხალხის გამაბედნიერებელი ყოფილა ე კოლექტივ. ისე კარგა აგვიხსნა და დაგვარიგა, რომა მოგვეწონა და დავთანხმდით.

მარ.—რაზე დათანხმდი კაცო?!

ზალ.—კოლექტივში შევდივარ!

მარ.—უი, უი, დამიდგეს თვალები!

ზალ.—უი შენ და ზურნა! შე ვირანა შენა! ე პარაოზის მუშტუკივით რო გაჰკივი, ჯერ გაიგონე და, მერე გინდა, ქვა იხალე თავში. თუ კი იმოდენა ხალხი შედის, ჩვენ რაღა ნაჩალიკები ვართ?!

მარ.—შე მზე-დასაბნელებელო შენა! იმ დღესა ლაფი-ტოპიანი მიწა ლაპარაკობდა, რომა მაგისთანა უბედურება გლეხურ კაცისთვის არაფერი არ იქნებაო. სუ ყველაფერს ჩამოგართმევენ, საკუთარი აღარაფერი არ გექნებათო. არა, კარგი რომ იყოს, ის შენზე წინ არ ჩაეწერებოდა? ის შენზე უფრო ჭკვიანი და შენზე უფრო შეძლებული არ არის?

ზალ.—მოო და, სწორედ ეგ არის საქმე, რომ ძალიანაც შეძლებულია და რა თქმა უნდა არ ჩაეწერება. ისა კულაკია, და წინააღმდეგი იქნება, მაგრამ ჩვენ რასა ვზარალობთ, არაფერსა.

მარ.—არა, არა, სწორედ რაღაც უბედურებაა შენს თავსა, ნამდვილადა თავში დაკრული ხარ.

ზალ.—თავში დაკრული შენა ხარ, რომა კაჭკაჭივით დახტიხარ. შენმა გატიალებამა ხოდაბუნები და ჯოგები რა დაგვიკარგოს. მთელი ჩვენი სიცოცხლე გაჭირვებაში ვართ, ჩვენი დამხმარე არც ღმერთი არის და არც კაცი, ამაზე უარესი რაღა დაგვემართება. კოლექტივში კი უსათუოდა კარგად იქნება ჩვენი საქმე.

მარ.—აქვე რომ ჩამაქვაო. მაინც არა მჯერა, არა მჯერა და არა მჯერა. (ხელებს ასავსავებს).

ზალ.—ახლა რო ტანციობ, რას ტანციობ, მაი, რომ დაგაჯერო!?

მარ.—ვერა, ვერა, და ვერა-მეთქი!

ზალ.—გეუბნები, დაგაჯერებ მეთქი.

მარ.—ვერა და ვერა მეთქი.

ზალ.—ჰო და ჰო მეთქი!

მარ.—ვერა და ვერა მეთქი.

ზალ.—დაიცა, დაიცა ე დაქოქილი პარახოტივით ნუ კი დარბიხარ, ჯერ ყური დამიგდე.

მარ.—აჰა, ჯანი გაგვარდეს, დაგიგდებ.

ზალ.—ჯერ ერთი რომა აგერ თესვის დრო კარზედ არის მომდგარი და ჩვენ კი სათესლე ხორბალი საკმაოდ არა გვაქვს და რო გვქონდეს კიდეცა დათესვასა მაგარი ზურგი სჭირდება, ი მიწასა კარგი მოხვნა უნდა.

მარ.—უნდა და მოვხნავთ კიდეცა...

ზალ—რითი, აი ადამი ემის გუთნითა, ერთ ჩატარებაზე რომა მჭადივით ემხვრევა პირი.

## ალსარება



მერე კიდენა ხარები არ გინდა? შენ გასწევ უღელსა?

მარ.—მე რათა,—ველარ ვიქირავებთ?!

ზალ. —„ვიქირავებთ". შარშანდელი ამბავი დაგავიწყდება? ვიქირავეთ და ი კულაკის ვალიდან ველარ ამოვედით,—იმი ბრალია, რომ სათესლე ხორბალი გვაკლია.

მარ.—ეგ კი მართალია, მაგრამა...

ზალ.—ხომ მართალია არა,.. ჰო და აბა კიდევ დამიგდე ყური.

მარ.—აკი გიგდებ ყურსა, რა ვქნა...

ზალ.—ი კოლექტივში კი ჩვენა იმდენი დარდი და ვარამი აღარ გვექნება,—იქა ყველანი ერთნაირადა და ერთ ზომაზედა მუშაობენ და ცხოვრების ჭაპანსაცა ერთნაირადა სწევენ. ზედაცა თუ რომელიმე წევრი ავად გახდება, კოლექტივ იმუშავებს იმათვინა.,.

მარ.—იცი, ლამის მომეწონოს გახა...

ზალ.—როგორ არ მოგეწონება, რომა... არ გახსოვს შარშანწინა ციებ-ცხელება რომ დამემართა და ხელს ველარ ვანძრევდი,.. გაგვიმართა ვინმემ ხელი? ი მაშინდელი ვალებიდან დღესაც ვერ ამოვსულვართ.

მარ.—ღვთის წინაშე ევეც კი მართალია, მაგრამ...

ზალ.—ესეც მართალია, არა.. ისიც ხომ მართალია, რომა კოლექტივებსა მთავრობა ეხმარება ფულითაცა, სათესლეთიცა, იარაღებითა და მანქანებითაცა, სწავლა-განათლებითაც...

მარ.—იცი, ევეც მართალია ღვთის წინაშე.

ზალ.—ჰო და ისიც მართალია, რომა მთავრობაი ნასწავლ ხალხს უგზავნის კოლექტივებსა, რომა აუხსნას და ასწავლოს, თუ როგორ მოუარონ მამულებსა, როგორ მოხნან, როგორ დათესონ და კიდევ ვინ იცის — რა,

მარ.—ღვთის წინაშე ევეც მართალია, მაგრამ...

ზალ. —აბა, ე „მაგრამ" რაღა საჭიროა... მართალი როგორ არ არის, ჩემო მარიკო, რომა ი დალოცვილი ტრაქტორი რომ ატრახ ტრახდება, თვალის დახამხამებაზედა სულ ბდღვრიას გააყრევინებს სახნავ მიწასა, მოიხედავ და რამდენიმე დესეტინა უკვე მოხნულია.,. ეეე, ი ტრაქტორისთანა ტყუილია.

მარ.—ე ტრაქტორი რაღაა, რა ვქნა?

ზალ.—აი, მიწის სახნავი ავტომობილი. მიწას რომ ძირიან-ფესვიანად აბრუნებს. სწორედ ის არი...

მარ.—ღვთის წინაშე ევეც კარგი ყოფილა გახა.

ზალ.—კარგი როგორ არ არის, რა ვქნა... რო დაიწყებს ტრახ-ტრახ-ტრახ-ტრახ... მერე მოჰყვება ბრახ-ბრახ-ბრახ-ბრახ, ისე ტრახტრახებს და ბრახ—ბრახებს, რომა გეგონება ცა და დედამიწა შეჯანძრაო..,

მარ.—დასწყევლოს ღმერთმა, იცი, მეც მომწონს, განა.—შენა ისე მოშაქრული ენითა და ჩაგონებით მელაპარაკები, რომა ლამის ეხლავე დავთანხმდე და სიხარულისაგან ლეკური ჩამოუარო.

ზალ.—აკი გითხარი დაგაჯერებ მეთქი. აბა ასე არა ჯობია, ი გიჟი მოზვერივით რომ დაფუნდრუკებდი წელანა. მაშ თანახმა ხარ კოლექტივში შავიდეთ.

მარ.—შავიდეთ, შავიდეთ.

ზალ.—აი, შენ კი გენაცვალე, შენა. მოიტა ხელი. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებასა და ჩვენ კოლექტივსა. (ხელს აძლევენ).

მარ.—იჰ, გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

ზალ.—მოდი, მოდი ერთი ლაზათიანად ჩამოუაროთ! დაუკა! (ცეკვავენ).

ფარდა

შ. კობილი



დაგექცეს ოჯახი... ჩემსავით გაგაგლახაოს ღმერთმა... გაგიწყდეს ცოლშვილი... ჯოჯოხეთში აყეფდეს შენი მიცვალებულთა სული.

— ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენი... გიცხონოს მიცვალებულთა სული.... გიცხონოს ცოლშვილი და ყოველივე სიკეთე მოგცეს.

# გ ო დ ო რ ი

**„ᲐᲕᲡᲣᲚᲡ“ (სოფ. ლვიმევი, ჭიათურა).** აკი გვქონდა „ტარტაროზში“ მოთავსებული თქვენი წერილი ბერმონაზონ დიომიდე ვაშაძის და ნინო ამაშუკლის შესახებ?! და თუ დიომიდე ამბობს:

სმა და ჭამას უკელი,
მიყვარს ამაშუკელი, — ტყვილად ნუ ამაღლის

ნინო ამაშუკელს, თითქოს მის სიყვარულის გამო „უკლო ჭამა-სმას“. ეკლესია-მონასტერი ხალხმა გამოუკეტა, და, აი ეს არის მიზეზი — სმას და ჭამას რომ უკლო.

არც ის არის გასაკვირი, რასაც ნინო ამბობს:

დიომიდე ვაშაძე,
მართლაც მიყვარს „ვაშა“-ზე. — ეს ბუნების

კანონია — მსგავსი მსგავსს ეძებს.

**„ᲨᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲡ“ (აქვე).** ჩვენ ეჭვი არ შეგვდის თქვენს უმუშევრობაში, თორემ რა დაგაწერინებდათ ამოდენა წერილს, თუმცაღა ასეთი დიდი წერილის დაწერა თავისთავად უმუშევრობა არ არის.

ჩვენ გამოგიგზავნით საფოსტო მარკას, და გაგვანთავისუფლეთ მამა თქვენთან თქვენი წერილის წაღებისაგან.

**ᲥᲘ-ᲥᲘ-ᲚᲘᲡ (ჯურუყვეთი, გურია).** სიამოვნებით თავბექდავდით თქვენს ლექსს:

**სასადილო კოლექტივს**
**ჩვენს თემში აქვს გახსნილი.**
**რომ სიმართლე ითქვას**
**ნაგვით არის ავსილი,** — მაგრამ ეს ჩვეულებ-

რივი მოვლენაა და თანაც ძველი ამბავი.

რაც შეეხება იმას, რომ:

**მოსადილეს მაგიდაზე**
**გამგე გვერდით მიუჯდება,**
**გაძღება და დაითვრება,**
**არაფერი არ უჯდება,** — ეს ამბავიც ძველია

და ჩვეულებრივი.

აი, ეხლა მივიღეთ თქვენი მეორე წერილი, რომელშიაც გვწერთ: „ვინაიდან სასადილოს ეხლა ახალი გამგე ჰყავს, ნუ გაუშვებთ ჩემს უწინდელ წერილს, თორემ ახალ გამგეს თავის თავზე ეგონება“-ო.

ამ განმარტების შემდეგ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება. ხოლო წერილის ადგილები მაინც იბეჭდება; ეს უფრო ფხიზლად ამყოფებს ახალ გამგეს.

**ᲓᲣ-ᲑᲔᲨᲡ (გამოჩინებულის თემი, ქუთ. ოლქი)** გასწორების შემდეგ „დუ-ბეშიდან“ „დუ-იაქე“ დარჩა.

**ᲑᲠᲐᲚᲔᲜᲐᲡ (სამტრედია)** თუ ეხლა ვასო ჯიბლაძე ხმა მაღლა ასე მღერის:

**არა მწამდა და არცა მწამს**
**მე ამათი კოლექტივი, —**
**სათავეში მაინც ჩავდექ,**
**გავაცურე როგორც ტივი...** ალბათ მის ხმა-

მაღლა სიმღერას ყურს მოჰკრავს ადგილობრივი რომელიმე ორგანო და თავის გზას მიუჩენს მას.

**ᲘᲬᲠᲔᲚ ᲙᲝᲚᲝᲡ (სამტრედიის რაიონი).** თქვენი ლექსი ასე იწყება:

**გენაცვალე ტარტაროზ**
**შემოგევლე სულში.**
**მე მინდა რომ მოგეჩვენო**
**როგორც ღვინო ჭურში...** შიშისაგან რომ თქვენი ალმასკომის თავმჯდომარე ნებას გაძლევს იცხოვროთ მხოლოდ 1931 წ. 22 მარტამდე (იხ. დღევანდელ ნომერში „ფარცხი-მარცხი“), არც შეგეძლოთ უკეთესი ლექსი დაგეწერათ.

# სამხედრო თათბირი




საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ

მე-ნ სტამბა, კამოს ქუჩა № 68. რედაქ. სარედ. კოლეგია, გაზ. „მუშას" გამოცემა მთავლ. № 1819.